სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

წლიური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2023 წლიან იანვარი-დეკემბერი

სარჩევი

N1: სამეცნიერო პროექტები 3
1.1 სახელმძღვანელოების პროექტი 3
1.2 მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები 4
N2: სამეცნიერო ჟურნალები 5
2.1 გარემო და საზოგადოება 5
2.2 სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში 5
N3: სამეცნიერო კონფერენციები 6
3.1 „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ 6
3.2 პროფესორთა იუბიესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები 7
3.3 სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები 7
3.3.1 სტუდენტთა IX საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია 7
3.3.2 სტუდენტთა I ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია 8
3.3.3 სტუდენტთა 83-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია 9
N4: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები 9
N5: აკადემიური პერსონალის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შეფასება 10

N1: სამეცნიერო პროექტები

1.1 სახელმძღვანელოების პროექტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N: 5/30 02.02.2023 ბრძანების თანახმად გამოცხადდა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამათა საგნების სახელმძღვანელოების შექმნის კონკურსი. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო 20 000 ლარი. კონკურსის პირობების თანახმად, ახალი სახელმძღვანელოების შექმნის ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 5 000 ლარზე მეტი

საკონკურსო კომისია შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით:

- სალომე დუნდუა– კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი.
- მანანა შამილიშვილი – კომისიის მდივანი, პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება;
- თამარ დოლბაია – პროფესორი, დეკანის მრჩეველი;
- რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- გიორგი გოგსაძე-პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება
- მარიამ გერსამია – პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება;
- იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
- ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება;
- თეონა მატარაძე - ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება;

სულ შემოვიდა 3 განცხადება. კომისიამ გამარჯვებულად ცნო შემდეგი სახელმძღვანელოს პროექტები:

1. მალხაზ მაცაბერიძის სახელმძღვანელო „ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონცეფცია“ - დაფინანსდეს 3500 ლარით;

2. მაია ტორაძის სახელმძღვანელო „იდეიდან წერტილამდე: წერა მედიისთვის“ - დაფინანსდეს 4000 ლარით;

3. ნინო შატბერაშვილისა და ნათია ფარცხალაძის სახელმძღვანელო „სოციალურ მუშაობის მაკრო პრაქტიკა“ - დაფინანსდეს 3300 ლარით.

1.2 მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N: 6/30, 02.02.2023 ბრძანების თანახმად, გამოცხადდა კონკურსი მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობა შეეძლოთ ფაკულტეტის პროფესორებს, სწავლების სხვადასხვა დონიდან წარმოდგენილი არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართვით. საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 50 000 ლარი. ასევე, შემოსული საპროექტო წინადადებების შესაფასებლად, ამავე ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- სალომე დუნდუა - კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი.
- მედეა ბადაშვილი - კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური მიმართულება;
- თამარ დოლბაია - პროფესორი, დეკანის მრჩეველი
- ზურაბ დავითაშვილი - პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება;
- ნათია ფარცხალაძე - ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება;
- ნანული ტალახაძე- ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკის მიმართულება;
- თეა ვახანია - ფაკულტეტის ფინანსური კონსულტანტი.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების“ კონკურსის ფარგლებში შემოვიდა ოთხი საკონკურსო პროექტი. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტებიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

1. "სტუდენტური საპროტესტო მოძრაობები საქართველოში: მიზეზები, ფორმები და შედეგები (2016-2022)" - 93 ქულა
2. "მცირე სასტუმროების ინდუსტრია აჭარაში: პოსტ პანდემიური აღდგენის ძირითადი ასპექტები" - 92 ქულა;
3. "კონსტრუქციული ჟურნალისტიკა ქართული სატელევიზიო ახალი ამბების პრიზმაში“ - 89 ქულა

4. "აკადემიური თავისუფლება სტუდენტურ ფოკუსში" - 88 ქულა.

N2: სამეცნიერო ჟურნალები

2.1 გარემო და საზოგადოება

ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი “გარემო და საზოგადოება” არის ღია ხელმისაწვდომობის, რეცენზირებადი ქართული და ინგლისური ელექტრონული გამოცემა, რომელიც დაფუძნებულია 2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოელ პარტნიორთა ძალისხმევით. სამეცნიერო ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების და ბუნების განვითარების ინტერდისციპლინურ კვლევათა პოპულარიზაციას; გახდეს ცნობადი საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემა; დააკავშიროს ერთმანეთთან სხვადასხვა კვლევითი მიმართულების სპეციალისტები და შესთავაზოს მათ აზრთა გაცვლისა და თანამშრომლობის ასპარეზი.

ჟურნალში 2023 წელს შემოვიდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების 18 სტატია. სტატიებმა გაიარეს რეცენზირება შესაბამისი დარგის პროფესორებთან და 2023 წელს გამოქვეყნდა 2 ნომერი, თითოეულში კი - 6 სამეცნიერო სტატია. საბოლოოდ, 12 სტატიიდან - 5 არის ინგლისურენოვანი, ხოლო 7 - ქართულენოვანი.

2.2 სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის შექმნის მიმართულებით. ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა ძალისხმევით დაფუძნდა. სამეცნიერო ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს სამეცნიერო სტატიების შექმნასა და თავისი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებაში. ჟურნალი არის ელექტრონული, ღია ხელმისაწვდომობის. ჟურნალში შემოსული სტატიები გადის შიდა რეცენზირებას ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრებთან.

2021 წელს გამოიცა სტუდენტთა ჟურნალის 3 ნომერი. სულ გამოქვეყნდა როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სასწავლო საფეხურის სტუდენტების 27 სტატია. სტატიების თემატიკამ მოიცვა სოციალური მუშაობის, საერთაშორისო ურთიერთობების, ბავშვთა უფლებების, კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის, პოლიტიკის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის, თანამედროვე მედიისა და დეზინფორმაციის აქტუალური საკითხები.

N3: სამეცნიერო კონფერენციები

3.1 „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ 2021 წლის 22-24 ივნისს გაიმართა XI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა”, რომელიც ფაკულტეტის პროფესორის, რევაზ გაჩეჩილაძის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მუშაობდა ინგლისურ და ქართულენოვანი სექციები. ქართველ მომხსენებლებთან ერთად მონაწილეობდნენ სტუმრები სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან. სულ წარმოდგენილი იყო 40-ზე მეტი მოხსენება. კონფერენციის საკვანძო მომხსენებელი იყვნენ:

- რევაზ გაჩეჩილაძე - პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მოხსენების თემა: „სამხრეთ კავკასია და მისი ადგილი მსოფლიოში“

- აშოტ ალექსანიანი - პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სომხეთი; ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, გერმანია. მოხსენების თემა: „სომხეთის ევროინტეგრაციის უსაფრთხოების გამოწვევები მედეგობის კონტექსტში“

კონფერენციის შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: http://ssp.tsu.ge/axali/

3.2 პროფესორთა იუბიესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები

2023 წლის 26 ოქტომბერს პროფესორ ზურაბ დავითაშვილის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის თემაა: რუსეთ-უკრაინის ომი და მისი გავლენა საერთაშორისო წესრიგზე. მასში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მკვლევრებმა, ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა.

2023 წლის 17 ნოემბერს პროფესორ ალექსანდრე კუხიანიძის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის თემაა: დემოკრატიზაცია და უსაფრთხოება კორუფციისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მასში მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა მკვლევრებმა, ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა.

3.3 სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები

2023 წელს ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა სამი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია.

3.3.1 სტუდენტთა IX საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ორგანიზებით 2023 წლის 1 და 2 ივნისს **სტუდენტთა IX საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია** ჩატარდა. მასში მონაწილეობა ფაკულტეტის 70-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო.

კონფერენციაზე სამმა სექციამ იმუშავა:

- ახალგაზრდები თანამედროვე საქართველოში (სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები; განათლების ხარისხი; ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში);
- რუსეთ-უკრაინის ომის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები საქართველოზე;
- მოწყვლადი ჯგუფები და მათი გამოწვევები თანამედროვე საქართველოში.

სამეცნიერო კომისიამ სექციების მიხედვით გამოავლინა შემდეგი გამარჯვებულები:

I სექცია: რუსეთ-უკრაინის ომის ეფექტები საქართველოზე

გამარჯვებული: საბა სამუშია.
მოხსენების სათაური: რუსეთ-უკრაინის ომის ასახვა ქართულ სკოლებში: მიზეზები და შესაძლო შედეგები

II სექცია: მოწყვლადი ჯგუფები თანამედროვე საქართველოში
გამარჯვებულები: თინათინ წერეთელი, ელენე ელბაქიძე
მოხსენების სათაური: ეთნიკური უმცირესობის გამოწვევები ქვემო ქართლის საჯარო სკოლებში

გამარჯვებულები: ნინო ჩარკვიანი, ანამარია შეყილაძე
მოხსენების სათაური: ახალგაზრდა ქვიარ ადამიანების კიბერსივრცეში ინტერაქციის თავისებურებები საქართველოში

III სექცია: ახალგაზრდები თანამედროვე საქართველოში

გამარჯვებულები: მარიამ ვაჭრიძე, ანანო სანიკიძე
მოხსენების სათაური: ახალგაზრდული პოლიტიკის შედარებითი ანალიზი "გირჩი - მეტი თავისუფლებისა" და "მწვანეების" მაგალითზე

გამარჯვებულები: ლიკა ფირცხალაიშვილი, ნათია სირაძე
მოხსენების სათაური: ადგილობრივ თვითმმართველობებში ზოგადსაგანმანათლებლო სერვისების ეფექტურობის კვლევა ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების მაგალითების შედარებითი ანალიზი

3.3.2 სტუდენტთა I ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურების თანამშრომლობითა და ორგანიზებით 2023 წლის 19 მაისს ტარდება სტუდენტთა I ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა 15-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო ორივე ფაკულტეტიდან.

საკონფერენციო მოხსენება ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ღირებულებები და რწმენები
- მიგრაციის კვლევები
- გენდერის კვლევები

- იდენტობის კვლევები
- დისკრიმინაცია და ნეგატიური წინარწმენა
- კროს-კულტურული ფსიქოლოგია
- კრიმინალური ფსიქოლოგია
- ბიზნესი და ორგანიზაციული ფსიქოლოგია
- პიროვნების ფსიქო-ემოციური შეფასება
- განათლება და საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია: საქართველო ფოკუსში
- დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა და დიდაქტიკა: თეორია და პრაქტიკა
- სოციალური ინსტიტუტები და სახელმწიფო პოლიტიკა

3.3.3 სტუდენტთა 83-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია

2023 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს გაიმართა სტუდენტთა 83-ე ყოველწლიური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე მუშაობდა 4 სექცია:

- ემიგრაცია/იმიგრაცია და საქართველო;
- საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები: შედეგების ანალიზი;
- თანამედროვე ტექნოლოგიები და ქართული მედია;
- საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები: ევროპა vs აზია.

სულ წარმოდგენილი იყო 33 მოხსენება. მომხსენებლებს წინასწარ შემუშვებული კრიტერიუმების მიხედვით აფასებდა შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან შემდგარი კომისია. გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

N4: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები

2023 წლის 1-2 თებერვალს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ფაკულტეტის პროფესორებმა და დოქტორანტებმა წარმოადგინეს მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები. ღონისძიებაზე ავტორებმა წარმოადგინეს ფაკულტეტზე არსებული ჟურნალ „გარემო და საზოგადოების“ სტატიებიც. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებულ მომხსენებლებს საშუალება მიეცათ კიდევ ერთხელ წარმოედგინათ საზოგადოებისათვის თავისი მოხსენებები. ასევე გაიმართა ფაკულტეტის მიერ დაფინანსებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების პრეზენტაციები.

N5: აკადემიური პერსონალის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შეფასება

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (https://www.tsu.ge/ka/legalakad/40871) დადგენილებით N: 115/2020, 30/11/2020 ამოქმედდა თსუ-ის აკადემიური პერსონალის მინიმალური სამეცნიერო სახელფასო დატვირთვის სქემა. აღნიშნული სქემა განხილულ იქნა 2021 წლის 2 ივლისის (ოქმი N4) ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. 2021 წლის 17 დეკემბრის (ოქმი N9) ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 2023 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით

2021 წლის 25 დეკემბრამდე ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა. დამტკიცებული სქემის მიხედვით, აღნიშნულმა კომისიამ განიხილა და შეაფასა თითოეული აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, დაუბრუნა მათ ინდივიდიალური დეტალური უკუკავშირი.